

ძალაშია 1999 წლის 25 თებერვლიდან

შეთანხმება

საქართველოს მთავრობასა და მოლდავას რესპუბლიკის მთავრობას შორის ინვესტიციების წახალისებისა და ურთიერთდაცვის შესახებ

საქართველოს მთავრობას და მოლდავას რესპუბლიკის მთავრობა, შემდგომში “მხარეები”,

სურთ რა გააძლიერონ ეკონომიკური თანამშრომლობა ორივე მხარისათვის ურთიერთსარგებლობის მიზნით გრძელვადიან საფუძველზე,

აქვთ რა განზრახვა შექმნან და ხელი შეუწყონ ხელსაყრელ პირობებს ერთი მხარის ინვესტორისათვის მეორე მხარის ტერიტორიაზე,

აღიარებენ, რომ ინვესტიციების ხელშეწყობა და ურთიერთდაცვა, ამ შეთანხმების თანახმად, სტიმულირებას გაუწევს საქმიან ინიციატივას ამ სფეროში,

შეთანხმდნენ შემდეგზე:

მუხლი 1 განმარტებები

ამ შეთანხმების მიზნებისათვის:

1. გერმინი “ინვესტიცია” მოიცავს აქტივების ნებისმიერ სახეს, რომლებიც ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებით ინვესტირებულნი არიან ერთი მხარის ინვესტორის მიერ მეორე მხარის ტერიტორიაზე, ამ უკანასკნელის მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად და კერძოდ, მაგრამ არასრულად, შეიცავს:

a) მოძრავ და უძრავ ქონებას, როგორც ნებისმიერ სხვა უფლებებს, ისეთ უფლებებს, როგორც არის გირაო, შენახვის უფლებები, სესხის უზრუნველყოფისა და მსგავსი უფლებები;

აქციებს, ფასიან ქაღალდებს და იურიდიული პირების სავალო ვალდებულებებს ან ამ იურიდიული პირების ქონებას;

სესხებს, კრედიტებს, მიზნობრივ საბანკო და საფინანსო ანაბრებს და სხვაგვარ ფულად მოთხოვნილებებს, რომლებიც დაკავშირებულნი არიან ინვესტიციების განხორციელებასთან;

ინტელექტუალური საკუთრების უფლებებს, საავტორო უფლებების, სასაქონლო ნიშნების, პატენტების, სამრეწველო ნიშნების, გექნოლოგიური პროცესების, ნოუ-ჰაუს, კომერციული საიდუმლოებების, საფირმო სახელწოდებებისა და გუდვილის ჩათვლით, რომლებიც ინვესტიციასთან არიან დაკავშირებულნი;

ლიცენზიებსა და ნებართვებს მხარეთა კანონმდებლობის შესაბამისად, უფლების

შესაბამისად, ბუნებრივი რესურსების კვლევა-ძიება, მოპოვების, დამუშავებისა და ექსპლუატაციის კონცესიების ჩათვლით;

ფორმის ნებისმიერი შეცვლა, რომლებშიც აქტივები არიან ინვესტირებულნი, გავლენას არ იქონიებს მათ, როგორც ინვესტიციების თვისებებზე.

2. ტერმინი “ინვესტორი” ნიშნავს ნებისმიერ ფიზიკურ ან იურიდიულ პირს, რომელიც ინვესტიციებს აწარმოებს მეორე მხარის ტერიტორიაზე:

a) ტერმინი “ფიზიკური პირი” ნიშნავს ნებისმიერ ფიზიკურ პირს, რომელსაც გააჩნია ნებისმიერი მხარის მოქალაქეობა ან მუდმივი საცხოვრებელი ადგილი მხარის ტერიტორიაზე მისი კანონების შესაბამისად;

b) ტერმინი “იურიდიული პირი” ნიშნავს ნებისმიერ მხარის მიმართ ნებისმიერ დაწესებულებას, საწარმოს ან ორგანიზაციას, რომლებიც შექმნილნი არიან თითოეული მხარის მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად და, რომლებსაც აქვთ უფლება განახორციელონ ინვესტიციები მეორე მხარის ტერიტორიაზე.

3. ტერმინი “შემოსავლები” ნიშნავს ფულად თანხებს, რომლებიც ინვესტიციების შედეგად არიან მიღებულნი და შეიცავს კერძოდ, თუმცა არა სრულად, შემოსავლებს, პროცენტებს, კაპიტალის ნამატს, აქციებს, დივიდენდებს, როიალტის და გადასახადს მომსახურებაზე.

4. ტერმინი “ტერიტორია” ნიშნავს თითოეული მხარის მიმართ ტერიტორიას, რომელიც იმყოფება მის სუვერენიტეტის ქვეშ, აგრეთვე საზღვაო და წყალქვეშა რაიონებს, რომელზედაც ეს მხარე ანხორციელებს სუვერენულ უფლებებსა და იურისდიქციას ეროვნული კანონმდებლობისა და საერთაშორისო სამართლის შესაბამისად.

მუხლი 2

შეთანხმების გამოყენება

ამ შეთანხმების პირობები გამოიყენება ყველა ინვესტიციების მიმართ, რომელიც განხორციელებულია ერთი მხარის ინვესტორის მიერ მეორე მხარის ტერიტორიაზე, როგორც ამ შეთანხმების ძალაში შესვლამდე, ასევე მისი ძალაში შესვლის შემდეგ.

მუხლი 3

ინვესტიციების წახალისება და დაცვა

1. თითოეული მხარე წახალისებს და შეუქმნის ხელსაყრელ პირობებს ინვესტიციების განხორციელებისათვის თავის ტერიტორიაზე მეორე მხარის ინვესტორებს და დაუშვებს ასეთ ინვესტიციებს მისი კანონებისა და წესების შესაბამისად.

2. ნებისმიერი მხარის ინვესტორების ინვესტიციები სარგებლობენ მეორე მხარის ტერიტორიაზე სამართლიანი და თანაბარი მოპყრობით, სრული დაცვითა და უშიშროებით.

მუხლი 4

ეროვნული რეჟიმი და უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმი

1. თითოეული მხარე თავის გერიგორიაზე ანიჭებს მეორე მხარის ინვესტორებს ინვესტიციების რეჟიმს, რომელიც არის სამართლიანი და თანაბარი და არა ნაკლებ ხელსაყრელი, ვიდრე ის, რომელსაც იგი ანიჭებს თავისი ინვესტორების ინვესტიციების ან ნებისმიერ მესამე სახელმწიფოს ინვესტორების ინვესტიციებს.

2. თითოეული მხარე თავის გერიგორიაზე ანიჭებს მეორე მხარის ინვესტორებს მართვასთან, ხელშეწყობასთან, გამოყენებასთან, შემოსავლების მიღებასთან და თავიანთ ინვესტიციების განკარგვასთან დაკავშირებით რეჟიმს, რომელიც არის სამართლიანი და თანაბარი და არა ნაკლებ ხელსაყრელი, ვიდრე ის, რომელსაც იგი ანიჭებს საკუთარ ინვესტორებს ან ნებისმიერი მესამე სახელმწიფოს ინვესტორებს.

3. ამ მუხლის 1 და 2 პუნქტების დებულებები არ განიმარტება ისე, რომ დაავალდებულონ ერთი მხარე, გაავრცელოს მეორე მხარის ინვესტორებზე სარგებლობა ნებისმიერი რეჟიმიდან, პრეფერენციები ან პრივილეგიები, რომლებიც შეიძლება გავრცელებულ იქნან უკანასკნელი მხარის მიერ და რომლებიც გამომდინარე:

a) ნებისმიერ საბაჟო კავშირიდან, ან თავისუფალი საჭირო მონიდან, ან მსგავსი საერთაშორისო შეთანხმებებიდან, რომლებიც გავლენას ახდენენ თანამშრომლობის საინვესტიციო რეჟიმზე, ან რეგიონალური თანამშრომლობის სხვა ფორმებზე, რომელთა მონაწილე არის ან შეიძლება გახდეს ნებისმიერი მხარე;

b) ნებისმიერი საერთაშორისო შეთანხმებიდან ან მოლაპარაკებიდან, რომლებიც მთლიანად ან ნაწილობრივ ეხება დაბეგრას.

მუხლი 5 **კომპენსაცია დანაკარგებზე**

1. როდესაც ნებისმიერი მხარის ინვესტორების ინვესტიციები მარალს განიცდიან ომის, შეიარაღებული კონფლიქტის, ეროვნული საგანგებო მდგომარეობის, გადატრიალების, აჯანყების, შეთქმულების, სტიქიური უბედურების, ავარიის ან სხვა მსგავსი ვითარებების გამო მეორე მხარის გერიგორიაზე, სადაც იქნა განხორციელებული ინვესტიცია, მათ ამ უკანასკნელ მხარის მიერ მიენიჭება რესტიტუციებთან, ანაზღაურებასთან, კომპენსაციასთან და სხვა გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით რეჟიმი, რომელიც არანაკლებ ხელსაყრელია, ვიდრე ის, რომელსაც ეს უკანასკნელი მხარე ანიჭებს ნებისმიერი მესამე სახელმწიფოს ინვესტორებს.

2. ამ მუხლის 1 პუნქტის პირობების დაუბრკოლებლად, ერთი მხარის ინვესტორები, რომლებიც ამ პუნქტში ნახსენებ ნებისმიერი მოვლენის დროს განიცდიან მარალს მეორე მხარის გერიგორიაზე, რომლებიც წარმოიშობიან:

a) მისი ძალები ან ხელისუფლებების მიერ მათი საკუთრების დაგრევისა და რეკვიზიციის,

b) მისი ძალების ან ხელისუფლებების მიერ მათი საკუთრების დაგრევის შედეგად, რომლებიც წარმოიქმნებიან არ იყო გამოწვეული საომარი მოქმედებებით, ან გამოწვეული იყო სიგუაციის აუცილებლობიდან, მიენიჭებათ თანაბარი და აღექვავური კომპენსაცია მარალზე, რომლებიც განიცადეს ინვესტორებმა საკუთრების რეკვიზიციის ან განადგურების დროს.

წარმოშობილი გადასახადების გადაგზავნა უნდა განხორციელდეს თავისუფლად კონვერტირებად ვალუტაში დაუყოვნებლივ.

მუხლი 6

ექსპროპრიაცია

1. ნებისმიერი მხარის ინვესტორების ინვესტიციები არ იქნებიან ნაციონალიზირებული, ექსპროპრიირებული და მათ მიმართ არ გამოიყენება ზომები, რომლებსაც აქვთ ნაციონალიზაციისა და ექსპროპრიაციის (შემდგომში “ექსპროპრიაცია”) ექვივალენტური ეფექტი, მეორე მხარის ტერიტორიაზე, მხარეთა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევების გარდა. ექსპროპრიაცია გაგარდება სამართალწარმოების შესაბამისად, არადისკრიმინაციულ საფუძველზე და განხორციელდება ადეკვატურ და ეფექტურ კომპენსაციის დაუყოვნებლივი გადახდის შესახებ პირობების თანხლებით. ასეთი კომპენსაცია გაუგოლდება ინვესტიციის საბაზრო ფასებს, იმ მომენტისათვის, როდესაც ექსპროპრიაციის ან ექსპროპრიაციაზე მუქარის შესახებ გახდა საყოველთაოდ ცნობილი, იგი შეიცავს პროცენტს ექსპროპრიაციის თარიღიდან LIBOR-ის განაკვეთით, ანაზღაურდება ვალუტაში, რომლითაც განხორციელდა ინვესტიციები ან მხარეთა შეთანხმებით ინვესტორისათვის მისაღებ ნებისმიერ ვალუტაში, ან გაკეთდება დაუყოვნებლივ, იქნება ისეთი, რომელიც ეფექტურად განხორციელდება და თავისუფლად გადაიგზავნება.

2. დაზარალებულ ინვესტორს ექნება ამ მხარის სასამართლო ხელისუფლების მიერ თავისი შემთხვევის დაუბრკოლებრივი გადახედვის და ამ მუხლში გადმოცემული პრინციპების შესაბამისად მისი ინვესტიციების შეფასების უფლება.

3. ამ მუხლის 1 პუნქტის დებულებები აგრეთვე გამოიყენება მაშინაც, როდესაც მხარე ექსპროპრიაციას უკეთებს კომპანიის აქტივებს, რომელსაც მიღებული აქვს სააქციონერო სამოგადოების სტატუსი, ან დაფუძნებულია მისი მოქმედი კანონმდებლობის თანახმად მისი საკუთარი ტერიტორიის ნებისმიერ ნაწილში და რომელშიც მეორე მხარის ინვესტორებს აქვთ წილი.

მუხლი 7 გზავნილები

1. მხარეები, მხარეთა მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად უზრუნველყოფენ გადასახადების გადაგზავნას, რომლებიც ეხება ინვესტიციებს და შემოსავლებს. გზავნილები განხორციელდება ნებისმიერი შემლუღვებისა და დაგვიანების გარეშე. ასეთი გზავნილები კერძოდ უნდა შეიცავდეს, მაგრამ არა გამონაკლისის სახით:

a) ინვესტიციების მხარდაჭერის ან გაზრდისათვის საჭირო კაპიტალს და დამატებით ფულად თანხებს;

b) შემოსავლებს, პროცენტებს, დივიდენდებს და სხვა მიმდინარე შემოსავალს;

c) ინვესტიციებთან დაკავშირებულ საკრედიტო შეთანხმებების შესაბამისად განხორციელებულ გადასახადებს;

ვ) როიალისტებს ან მომსახურებაზე გადასახადს;

e) კაპიტალის მომაგებიდან ინვესტიციების გასხვივება, სრული ან ნაწილობრივ ლიკვიდაციიდან, შემოსავლებს.

f) მხარეთა კანონებისა და წესების შესაბამისად ფიზიკური პირების გასამრჯელოების, მიღებული მათ მიერ ამ მხარის ტერიტორიაზე განხორციელებული ინვესტიციებიდან.

2. ამ შეთანხმების მიზნებისათვის გაცვლის კურსებს წარმოადგენენ ოფიციალური კურსები, რომლებიც გადაგზავნის მომენტში მოქმედებენ მიმდინარე

შეთანხმებებისათვის, თუ სხვა რამეზე არ არის მოლაპარაკებული.

მუხლი 8 **სუბროგაცია**

1. თუ მხარე ან მისი შუამავალი ახორციელებს გადასახადებს თავისი საკუთარი ინვესტირებისთვის იმ გარანტიის შესაბამისად, რომელიც მან წარუდგინა მეორე მხარის ტერიტორიაზე ინვესტიციასთან დაკავშირებით, უკანასკნელი მხარე აღიარებს:

a) ნებისმიერი არსებული უფლების ან პირველი მხარის მიმართ ან მასთან დანიშნული შუამავლის მიმართ ინვესტორის მოთხოვნის უფლების გადაცემას ამ ქვეყნის ან კანონიერი შეთანხმების თანახმად, ისე როგორც,

b) რომ პირველმა მხარემ ან მისმა დანიშნულმა შუამავალმა მიიღო უფლება სუბროგაციის შედეგად ისარგებლოს ამ ინვესტორის უფლებებით და წამოაყენოს ამ ინვესტორის მოთხოვნები და ამ ინვესტიციასთან დაკავშირებით აიღებს თავის თავზე ვალდებულებებს.

2. სუბროგაციის შედეგად მიღებული უფლებები ან მოთხოვნები არ გაცდება ინვესტორის უფლებების და მოთხოვნების ფარგლებს.

მუხლი 9 **დავები ერთი მხარის ინვესტორსა და მეორე მხარეს შორის**

1. ნებისმიერი დავა, რომელიც შეიძლება წარმოიქმნას ერთი მხარის ინვესტირებისა და მეორე მხარეს შორის ამ მხარის ტერიტორიაზე ინვესტიციასთან დაკავშირებით, მოლაპარაკების საგანი იქნება დავაში მხარეებს შორის.

2. თუ რაიმე დავა ერთი მხარის ინვესტირებისა და მეორე მხარეს შორის ამგვარად არ გადაწყდება წერილობითი მოთხოვნის წარდგენიდან ექვსი თვის განმავლობაში, ინვესტორი მიიღებს უფლებას გადასცეს ეს დავა:

a) იმ მხარის სასამართლო ორგანოს განსახილველად, რომლის ტერიტორიაზე ხორციელდება ინვესტიცია, ან

b) საინვესტიციო დავების გადამწყვეტ საერთაშორისო ცენტრში, რაც გულისხმობს სახელმწიფოებსა და სხვა სახელმწიფოების მოქალაქეებს შორის საინვესტიციო დავების გადაწყვეტის შესახებ კონვენციის შესაბამის პირობებს, რომელიც ხელმისაწვდომია ვაშინგტონში, კოლუმბიის ოლქი, 1965 წლის 18 მარტს, იმ შემთხვევაში, როცა ორივე მხარე გახდნენ ამ კონვენციის მონაწილენი, ან

c) არბიტრს ან საერთაშორისო ad hoc საარბიტრაჟო სასამართლოში, რომელიც დაარსებულია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საერთაშორისო ვაჭრობის კომისიის საარბიტრაჟო წესების თანახმად, საარბიტრაჟო გადაწყვეტილება დავის ორივე მხარისათვის იქნება საბოლოო და სავალდებულო.

მუხლი 10 **მხარეთა შორის დავების გადაწყვეტა**

1. მხარეებს შორის დავა ამ შეთანხმების განმარტების ან გამოყენების თაობაზე

უნდა გადაწყდეს, თუ ეს შესაძლებელია, ერთობლივი კონსულტაციებითა და მოლაპარაკებებით.

2. თუ ღვა ამის დაწყების თარიღიდან ექვსი თვის განმავლობაში არ გადაწყდება ამ საშუალებით, მაშინ მხარეთაგან ერთ-ერთის მოთხოვნის საფუძველზე ის გადაეცემა საარბიტრაჟო სასამართლოს ამ მუხლის დებულებებითა შესაბამისად.

3. საარბიტრაჟო სასამართლო შეიქმნება ყოველი ცალკეული შემთხვევისათვის შემდეგნაირად: თითოეული მხარე საარბიტრაჟო განხილვის თაობაზე მიღებული წერილობითი მიმართვის შემდეგ ორი თვის განმავლობაში დანიშნავს ამ სასამართლოს თითო წევრს, რომლებიც ამირჩევენ მესამე სახელმწიფოს მოქალაქეს, დანიშნულს მხარეთა მიერ მოწონების შემდეგ სასამართლოს თავმჯდომარედ (შემდგომში “თავმჯდომარე”). თავმჯდომარე ინიშნება სხვა ორი წევრის დანიშვნის თარიღიდან სამი თვის განმავლობაში.

4. თუ ამ მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრულ რომელიმე პერიოდის განმავლობაში, არ იქნა განხორციელებული აუცილებელი დანიშვნები, ნებისმიერი მხარეს, სხვა შეთანხმებების არარსებობის შემთხვევაში, შეუძლია მოიწვიოს გაეროს საერთაშორისო სასამართლოს თავმჯდომარე აუცილებელი დანიშვნების გაკეთების მიზნით. თუ გაირკვევა, რომ ის არის რომელიმე მხარის მოქალაქე ან, თუ სხვა მიზეზები ხელს უშლიან მას შეასრულოს მითითებული ფუნქციები, აუცილებელი დანიშვნების გაკეთების მიზნით იქნება მოწვეული თავმჯდომარის მოადგილე. თუ გაირკვევა, რომ თავმჯდომარის მოადგილე ასევე არის რომელიმე მხარის მოქალაქე ან არ შეუძლია შეასრულოს მითითებული ფუნქცია, აუცილებელი დანიშვნების გაკეთების მიზნით იქნება მოწვეული გაეროს საერთაშორისო სასამართლოს მომდევნო თანამდებობაზე მყოფი წევრი, რომელიც არ არის რომელიმე მხარის მოქალაქე და შეუძლია დაბრკოლებების გარეშე შეასრულოს მითითებული ფუნქცია.

5. საარბიტრაჟო სასამართლო მიიღებს გადაწყვეტილებას ხმათა უმრავლესობით. ასეთი გადაწყვეტილებები სავალდებულო უნდა იყოს თითოეული მხარისათვის. თითოეული მხარე ანაზღაურებს საარბიტრაჟო საქმის წარმოებისას სასამართლოს თავისი წევრებისა და თავისი წარმომადგენლობის ხარჯებს; ხარჯები თავმჯდომარის მიმართებაში და სხვა ხარჯები უნდა ანაზღაურდეს ორივე მხარის მიერ თანაბრად. საარბიტრაჟო სასამართლო საკუთარ პროცედურას განსაზღვრავს თვითონ და თავისი გადაწყვეტილებით შეუძლია განსაზღვროს რომელი მხარე ანაზღაურებს ხარჯების მეტ ნაწილს.

მუხლი 11

სხვა წესების და სპეციალური ვალდებულებების გამოყენება

1. თუ საკითხი ერთდროულად რეგულირდება ამ შეთანხმებით და სხვა საერთაშორისო შეთანხმებით, რომლის მონაწილაც არის ორივე მხარე, ამ შეთანხმებაში არაფერი არ შეუშლის ხელს მხარეებს ან ნებისმიერ ინვესტორებს, რომლებიც ახორციელებენ ინვესტიციებს მეორე მხარის ტერიტორიაზე, ისარგებლონ იმ წესების უპირატესობით, რომლებიც უფრო ხელსაყრელი არიან მათ საქმიანობასთან დაკავშირებით.

2. თუ რეჟიმი, რომელიც უნდა მიანიჭოს ერთმა მხარემ მეორე მხარის ინვესტორებს მისი კანონებისა და წესების ან სხვა კონტრაქტების სპეციალური დებულებების შესაბამისად, არის უფრო ხელსაყრელი, ვიდრე ის, რომელიც ენიჭება ამ

შეთანხმებით, იქნება მინიჭებული უფრო ხელსაყრელი რეჟიმი.

მუხლი 12 **ცვლილებებისა და დამატებების შეტანა**

ამ შეთანხმებაში შეიძლება შეტანილ იქნას ცვლილებები და დამატებები მხარეთა შორის წერილობითი შეთანხმებით. ნებისმიერი შესწორება შევა ძალაში, თუ თითოეული მხარე აცნობებს მეორე მხარეს, რომ მან დაარეგულირა ყველა შესაბამისი ფორმალობები, რომლებიც ხელს უშლიან ასეთი შესწორების ძალაში შესვლას.

მუხლი 13 **შეთანხმების ძალაში შესვლა, მოქმედების ხანგრძლივობა და შეწყვეტა**

1. ეს შეთანხმება ძალაში შედის მხარეთა მიერ შეთანხმების ძალაში შესვლისათვის აუცილებელი შიდა სახელმწიფოებრივი პროცედურების შესრულების თაობაზე წერილობითი შეტყობინებების თარიღიდან.

2. ეს შეთანხმება ძალაში რჩება ათი წლის განმავლობაში. მისი მოქმედება ავტომატურად გაგრძელდება შემდეგი ხუთწლიანი პერიოდებით, თუ ერთ-ერთმა მხარემ შესაბამისი პერიოდის დამთავრებამდე ექვსი თვით ადრე წერილობით არ აცნობებს მეორე მხარეს თავისი განმრავის შესახებ შეწყვიტოს ამ შეთანხმების მოქმედება.

3. შეთანხმების მოქმედების შეწყვეტამდე განხორციელებულ ინვესტიციებთან დაკავშირებული პირობები მისი მოქმედების შეწყვეტის თარიღიდან ძალაში დარჩება ხუთი წლის განმავლობაში.

შესრულებულია ქ. თბილისში, 1997 წლის 28 ნოემბერს, ორ ნამდვილ პირად, თითოეული ქართულ, მოლდავურ და რუსულ ენებზე, ამასთან ყველა ტექსტი თანაბარი ძალისაა.

შეთანხმების დებულებათა განმარტებისას წამოჭრილი განსხვავებებისას მხარეები იხელმძღვანელებენ ტექსტით რუსულ ენებზე.

საქართველოს
მთავრობის სახელი

მოლდავის რესპუბლიკის
მთავრობის სახელით